საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/76

ქ. ბათუმი **25 ივნისი, 2018 წ.**

„2018 წელს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/63 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ანზორ ბერიძის 2018 წლის 25 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N802959) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „2018 წელს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/63 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ბ) **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირებს დაევალოს** სისტემაში მასთან დაკავშირებული ელექტრონული ველების შევსება **არაუგვიანეს 2018 წლის 27 ივნისისა;"**

2. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს/უფროსებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და აკადემიურ პერსონალს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**